ვისწავლოთ გამოყენებითი ანგარიში

გაიაზრე ამოცანის პირობა:

ბატონი გიორგი მეფუტკრეა. მას ფუტკრის 95 ოჯახი ჰყავს. თითოეულ სკაში 1 ოჯახი ცხოვრობს. ფუტკრის ოჯახი შედგება: 250 000 მუშა ფუტკრის, დაახლოებით 100 000 მამრისა და 1 დედა ფუტკრისგან.

1) რამდენი სკა აქვს გიორგი მეფუტკრეს?

_____ სკა

2) ფუტკრების 1 ოჯახი წელიწადში დაახლოებით 52 კგ თაფლს აწარმოებს.

რამდენ კგ თაფლს აწარმოებს ბატონი გიორგი წელიწადში?

_____ კგ თაფლი

3) ბატონი გიორგი მოსავლის მეოთხედს დისტრიბუტორებზე ყიდის: 1 კგ თაფლს 7 ლარად.

რამდენ კგ თაფლს ყიდის ბატონი გიორგი დისტრიბუტორებზე?

_____ კგ თაფლი

რა თანხას იღებს მათგან?

_____ ლარი

4) რამდენი ფუტკარი ცხოვრობს 1 სკაში? _____ ფუტკარი

5) რადგან, თაფლს გამოიმუშავებს მუშა ფუტკარი, მაშინ რამდენ ჩაის კოვზ თაფლს მიიღებს მეფუტკრე 2000 მუშა ფუტკრისაგან?

_____ ჩაის კოვზ თაფლს

6) მოსავლის ნახევარი მაღაზიებში შეაქვს, სადაც 1 კგ თაფლი დაახლოებით 18 ლარი ღირს.

რამდენ კგ თაფლს ყიდის ბატონი გიორგი მაღაზიაში? _____ კგ თაფლი

რა თანხას იღებს? _____ ლარი

7 ბატონი გიორგი ზოგჯერ 1000 კგ თაფლს თავად ყიდის ბაზარში: 1 კგ თაფლს 15 ლარად.

რა თანხას იღებს? _____ ლარი

8 თაფლის ნარჩენებს ბატონი გიორგისგან მედიკამენტების მწარმოებლებიც ყიდულობენ: 1 კგ-ს 4 ლარად.

რა თანხას იღებს ბატონი გიორგი მედიკამენტების მწარმოებლებისგან თუ წარჩენები 1 სკიდან 3 კგ-ია?

_____ ლარი

ფიჭებიდან თაფლის გამოსაწურად საჭიროა ფიჭაზე თხელი ფენის ათლა.
ამ პროცესის შედეგად გროვდება ანთალი, რასაც დიდი სამკურნალო თვისება აქვს.

9 რამდენ კგ თაფლი რჩება ბატონ გიორგის თავისთვის?

_____ კგ თაფლი

10 რამდენი სკა არის საკმარისი, რომ მეფუტკრემ 520 კგ თაფლი მიიღოს მოსავალის სახით, წლის ბოლოს?

_____ სკა

11 რამდენი ლარია ბატონი გიორგის წლიური შემოსავალი მეფუტკრეობიდან?

_____ ლარი

LIVEWORKSHEETS